**წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**რიგგარეშე სხდომის ოქმი №26**

ქ.წალენჯიხა 2017 წლის 25 დეკემბერი

**სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია**

საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 27 დეპუტატი: დარეჯან დადიანი, მაია მიქავა, თენგიზ ფიფია, სოლომონ სარია,დალი კვარაცხელია, ცოტნე მესხია,დავით ბელქანია, მანანა ჭანია, ასმათ კვარაცხელია, ვალერიანე კვარაცხელია, ანზორ ძაძამია, ზურაბ სამუშია, იაგო მიქავა, კახაბერ ჯოლოხავა, დავით ფიფია, ვლადიმერ კვარაცხელია, ბაკურ სონგულია, ლევან შელია, დათა კუკავა, თეა ხასაია, ბაჩუკი უბილავა, ავთანდილ გაბელია, ელგუჯა მესხია, დათა აკობია, ირაკლი ხარჩილავა, გიორგი აბულაძე.

**სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერი ბესიკ ფარცვანია, მერის პირველი მოადგილე გიორგი ლუკავა, საკრებულოსა და მერიის თანამშრომლები.

**სხდომა დაიწყო:** 12:00 სთ.
**სხდომა დასრულდა:** 12: 50 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი. საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

**დღის წესრიგი:**

1.საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 2018 წელს დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების თაობაზე
მომხსენებელი: **გიორგი ლუკავა**-მერის მოადგილე

2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი: **თენგიზ ფიფია**- საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

3.სხვადასხვა
ა) ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს რეგისტრაციის თაობაზე;
მომხსენებელი: **თენგიზ ფიფია**- საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე
ბ) ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" რეგისტრაციის თაობაზე.
მომხსენებელი: **თენგიზ ფიფია**- საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

**მოისმინეს: 1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 2018 წელს დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების თაობაზე**

საკითხი წარმოადგინა მერიის მოადგილემ გიორგი ლუკავამ. საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 27 დეპუტატი, წინააღმდეგი -0,) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N 64 )

**მოისმინეს: 2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ თენგიზ ფიფიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა. ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 27 დეპუტატი, წინააღმდეგი -0 ) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N 53 )

**მოისმინეს: 3. სხვადასხვა**

ა) ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს რეგისტრაციის თაობაზე;

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ თენგიზ ფიფიამ აღნიშნა, რომ ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“-ს რეგისტრაციის საკითხი განიხილულიქნა დროებითი სამანდატო კომისიის სხდომაზე და წარმოდგენილიქნა დასკვნა. აღნიშნული მიღებულია ცნობად კენჭისყრის გარეშე და ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ ითვლება რეგისტრირებულად. (განკარგულება N65)

ბ) ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ რეგისტრაციის [illegible]იბაზე.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ თენგიზ ფიფიამ აღნიშნა, რომ ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველობა გადაარჩენს საქართველო“-ს რეგისტრაციის საკითხი განიხილულიქნა დროებითი სამანდატო კომისიის სხდომაზე და წარმოდგენილიქნა დასკვნა. აღნიშნული მიღებულია ცნობად კენჭისყრის გარეშე და ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ ითვლება რეგისტრირებულად. (განკარგულება N66)

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

**სხდომის თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია**